

# ტაქსების მასშტაბური შემოსევა თბილისში



გდღანი, სადამოს 7 საათი. მეტროსთან, გაჩერებაზე მეგობარს ვეროღებოდი. უსაქმურობისგან ტაქსების რაოდენობის დათვრა გადავწყვიტე. დრო დავნიშნე და რაც არ უნდა გასაკვირი იყოს 5 წუთში 43 ტაქსმა ჩაიარა. კიდევ

5 წუთში 41 მანქანა გამცდა. ვიფიქრე, რამე შემეშადრა–თქო და მომდევნო 5 წუთი კიდევ ვითვარე ტაქსების რაოდენობა და 37 დავითვარე. მარტივი არითმეტიკით რომ ვიმსჯელოთ, ყოველ 5 წუთში 40 ტაქსი თუ მოძრაობს, ყოველ საათში – 480 ტაქსი.

დიახ, პიკის საათია, მაგრამ ამ 40 ტაქსიდან 10–12 თუ იყო დაკავებული. დანარჩენი ავტოსაშუაღების მძღოლები კრიენტის შოვნის იმედით სევდიანი თვარებით აქეთ–იქეთ იყურებოდნენ. თბილისში 33 უბანია,  $33 \times 480 = 15840$ . ანუ პიკის საათში დედაქალაქის მასშტაბით დაახლოებით 15840–მდე ტაქსი მოძრაობს. არა მგონია, მთელ თბილისში ტაქსით გადაადგილების 7000–მდე მსურვერი იყოს, მითუმეტეს ყოველდღე. დღის განმავლობაში კი ამაზე ნაკლებიც. შესაბამისად, ტაქსების უმეტესობა არასრული დათვირთვით მუშაობს. მეტნაკლები სტაბილური მუშაობა ტაქსის კომპანიებს აქვს, თუმცა მას შემდეგ, რაც ქართულ ბაზარზე რუსური ბიზნეს ოპერატორი შემოვიდა, ადგილობრივი კომპანიები შეკვეთების შემცირებაზე ადაპარაკდნენ.

*დიახ, ქვეყანაში უმუშევრობის მაღალი დონეა. დიახ, საპენსიო ასაკამდე მამაკაცებისთვის ვაკანსიები თითქმის არ არის. დიახ, ტაქსის მძღოლობა დამატებითი შემოსავლის კარგი წყაროა.*

*მაგრამ, ამ უმუშევართა რაოდენობას გაჩერებებზე მიყიჟურ იმ მგზავრთა ნაწილიც მიეკუთვნება, რომელსაც ნერი სვრით მიმავარი ტაქსის მძღოლი ფანჯრიდან შესცქერის. მათ არ აქვთ ტაქსით*

*მგზავრობის ფუფუნება.*

*ვაღიაროთ, ჩვენთან არ არსებობს ტაქსით მომსახურების განვითარებული სერვისი, არ გვყავს კვარიფიციური მძღოლები. დამიჯერეთ, ნიუ-იორკის ან ღონღონის ტაქსისტი არ დაუსვამს კრიენტს კითხვას : „და ეს ქურია სადაა?“.“ არ დაუსვამს, რადგან რიცენზიის მისაღებად მან ბევრი რამ შეისწავდა და დაამტკიცა, რომ მძღვის წოდების ღირსია.*

ტაქსის მომსახურებაზე ხშირად უარს აცხადებენ ტურისტებიც. არაკეთილსინდისიერი მძღოლები მრიცხველის უქონლობით სარგებლობენ და ჩამოსურ სტუმრებს ასტრონომიური ფასებით ემსახურებიან. ამას გარდა, კერძო სასტუმროებთან გარიგებაში ჩაბმულ ზოგიერთ მძღოს დანიშნულების აღვირამდე არც მიჰყავს ტურისტი – გზაში დაჯავშნულ ობიექტზე უარყოფით ინფორმაციას აწვდის, სამაგიეროდ კი დაბად ფასში ვითომდა უკეთეს პირობებს სთავაზობს. ბინის მეპატრონე კრიენტს იღებს, მძღოლი – პროცენტს, ორივე კმაყოფილია! უკმაყოფილოა მოტყუებული ტურისტი და იმ ობიექტის განზიდვური მასპინძელი, სადაც უცხოელ სტუმარს ელოდებოდნენ.

გასურ წედს საქართველოში ტაქსის მძღოლების პროფკავშირი შეიქმნა. იანვარში კი ცნობილი გახდა, რომ თბილისის მერია ტაქსების რეგისტრაციას იწყებს და პროცედურა სავარდებულო იქნება. გადაწყვეტილება კახა კარაძემ იმით ახსნა, რომ თბილისის მოსახლეობა და სტუმრები ხარისხიან, უსაფრთხო და კომფორტულ სერვისს იმსახურებენ. ახრახან გაჟღერდა ინფორმაცია, რომ ტაქსის მძღოლებს რეგისტრაციის გავრა და ავტომობილში სპეციალური საინფორმაციო ტაბლოს განთავსების ვადლებულება გაუჩნდებათ. მათ სავარდებულო წესით უნდა დაამონტაჟონ ტაქსომეტრები და ერთიანი ტარიფებით იმოძრაონ. რიცენზიის ფასი სავარაუდოდ 50-100 ლარის ფარგლებში იქნება. ხორღ ის მძღოლები, რომლებიც ურიცენზიოდ იმუშავებენ, 200 ლარით დაჯარიმდებიან. ტაქსების კონტროლს პოლიცია განახორციელებს.

იმედია, სიტუაცია ორივე მხარის სასარგებლოდ მოგვარდება და ტაქსი/მგზავრობის შეფარდებაც გონივრულად დაბარანსდება. იმედია...

ადექსანდრე მგალობლიშვილი